განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სოციალური მუშაობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი: 13.06.2022 – 14.06.2022

დასკვნის წარდგენის თარიღი: 24 ივნისი, 2022

თბილისი
2022

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204864548
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	სოციალური მუშაობა
უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	სოციალური მუშაობის მაგისტრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0923 - სოციალური მუშაობა და კონსულტაცია
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	-
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული; გადაწყვეტილება #267 26/07/2012

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	შორენა სამაგლიშვილი, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრები (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ინგა საითაძე, სიბელმანის სახელობის

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

	სოციალური მუშაობის სკოლა, ჰანტერ კოლეჯი, Silberman School of Social Work at Hunter College, CUNY, აშშ
წევრები (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	დარეჯან დვალიშვილი, ვაშინგტონის სენტ ლუსის უნივერსიტეტი, ვორენ ბრაუნის სახელობის სოციალური მუშაობის სკოლა, აშშ
წევრები (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ელენე გავაშელიშვილი, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრები (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თამთა ცხოვრებაძე, შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრები (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ჯოვანა აბლოთია, შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო

საჯარო სამართლის იურიდიული პირის განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 03/06/2022 ბრძანების მიხედვით (MES 4 22 0000583018) შეიქმნა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი (შემდგომში - ექსპერტთა ჯგუფი) შემდეგი შემადგენლობით: ა) შორენა საძაგლიშვილი (თავმჯდომარე); ბ) ინგა საითაძე (წევრი); გ)დარეჯან დვალიშვილი (წევრი); დ) ელენე გავაშელიშვილი (წევრი); ე) თამთა ცხოვრებაძე (წევრი); ვ) ჯოვანა აბლოთია (წევრი).

ექსპერტთა ჯგუფს დაევალა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ცენტრში წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლა. კერძოდ, "სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკრედიტაციის მაძიებლად ცნობის შესახებ" სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2022 წლის 12 აპრილის № 379087; № 378853 და № 378982 ბრძანებების შესაბამისად, დაწესებულებამ გადაიხადა აკრედიტაციის საფასური და 2022 წლის 27 აპრილის №6545/01-06-03, №6549/01-06-03 და №6548/01-06-03 წერილებით (№ 425711; № 425704 და № 425696) ცენტრში წარმოადგინა აკრედიტაციის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის 2022 წლის 30 მაისის №553651 და № 557610 სამსახურებრივი ბარათების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-5, მე-10 და მე-11 პუნქტების, 27 მუხლის პირველი - მე-6 პუნქტების, ცენტრის დირექტორის 1 2018 წლის 06 მარტის №170 ბრძანებით დამტკიცებული „ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტთა შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესის“, ცენტრის დირექტორის 2018 წლის 06 მარტის №169 ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის და საგანმანათლებლო პროგრამების

აკრედიტაციის ექსპერტთა კორპუსის წევრების საქმიანობის ანაზღაურების წესის“ და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, შეიქმნა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი და მას დაევალა ,,სოციალური მუშაობის" საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებასთან დაკავშირებული უფლება-მოვალეობების განახორციელება დისტანციურად და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნების პროექტების წარმოდგენა და შემდეგომ დაწესებულების მიერ გაცნობის შემდეგ, საბოლოო დასკვნების და გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის წარმოდგენა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სოციალური მუშაობის სამაგისტრო პროგრამამ აკრედიტაცია მიიღო 2012 წლის 26 ივლისს (აკრედიტაციის საბჭოს ნომერი:№267). როგორც თვითშეფასების დოკუმენტშია აღნიშნული, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალური მუშაობის სამაგისტრო პროგრამის მიზანია სოციალური მუშაობის **პროფესიონალი პრაქტიკოსების, მკვლევრებისა და მომავალი აკადემიური პერსონალის მომზადება. პროგრამა მიზნად ისახავს უზრუნველყოს მაღალკვალიფიციური სოციალური მუშაკების მომზადება, რომლებიც პროფესიულ ეთიკასა და ღირებულებებზე დაყრდნობით, განახორციელებენ უშუალო პრაქტიკას, ხელს შეუწყობენ სოციალური მომსახურებების, პროგრამებისა და პოლიტიკის ფორმირების პროცესში ადამიანების უფლებების და სოციალური სამართლიანობის პრინციპების დაცვას და დახელოვნებული არიან კვლევის სხვადასხვა მეთოდის გამოყენებაში;**

პროგრამა უზრუნველყოფს პროფესიული და აკადემიური სტანდარტების ინტეგრაციით, ღრმა პროფესიული ცოდნისა და კრიტიკული რეფლექსიის უნარის მქონე სოციალურ მუშაკების მომზადებას, რომლებიც დაინტერესებულნი არიან თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებით; სტუდენტების მომზადებას როგორც პრაქტიკული საქმიანობის, ასევე სადოქტორო პროგრამაზე სწავლის გასაგრძელებლად; სტუდენტების დახელოვნებას კრიტიკული აზროვნების უნარ-ჩვევების განვითარებაში, მათთვის სოციალური სისტემების ფუნქციონირების მექანიზმების გაცნობას, პროფესიული ქცევისა და ეთიკის სტანდარტების დაუფლებას და მათი გამოყენებას მომიჯნავე დარგებში არსებულ კრიტიკულ ცოდნასთან ერთად მომსახურების მიმწოდებელ სისტემებთან/მომსახურების მიმღებ პირებთან მუშაობისას, რათა სტუდენტებმა შეძლონ პროფესიული მხარდაჭერის გაწევა მათი ინდივიდუალიზმის, განსხვავებულობის აღიარებითა და გათვალისწინებით.

პროგრამის ხანგრძლივობა 2 წელი, სწავლების ენა ქართულია, მისანიჭებელი კვალიფიკაციაა „სოციალური მუშაობის მაგისტრი“, საკრედიტო მოცულობაა 120 კრედიტი.

პროგრამის სტრუქტურა შედგენილია სამაგისტრო სწავლების საფეხურის შესაბამისი სილაბუსებითა და თემატიკით. ის მოიცავს კვლევის და პრაქტიკული სწავლების კომპონენტს. პროგრამა აგებულია სპირალური კურიკულუმის საფუძველზე, სწავლის მიზნებისა და შედეგების ზედმიწევნით გათვალისწინებით. გვაძლევს საშუალებას მივაღწიოთ პროგრამის მიზანსა და სწავლის შედეგებს. საგანმანათლებლო პროგრამის

სტრუქტურა მოიცავს 85 სავალდებულო (აქედან უშუალოდ სოციალური მუშაობის 9) და 25 (აქედან უშუალოდ სოციალური მუშაობის 13) არჩევით სასწავლო კურსს. პროგრამის სავალდებულო კომპონენტი მოიცავს სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობას.

პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალი: 4 ასოცირებული პროფესორი და 11 მოწვეული ლექტორი.

პროგრამის მიერ წარმოდგენილი სოციალური მუშაობის სპეციალობის კურიკულუმი/კურსები შესაბამისობაშია სოციალური სამუშაოს პროფესიის საუკეთესო გამოცდილებისა და ადგილობრივ მოთხოვნებთან, რაც გულისხმობს სოციალური სამუშაოს პროფესიისთვის აუცილებელი და არჩევითი კურსების არსებობას იმისთვის რომ სტუდენტებს მიეცეთ საშუალება შეარჩიონ როგორც სავალდებულო ასევე მათთვის სასურველი დამატებითი არჩევითი საგნები.

სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში სოციალური მუშაობის პრაქტიკის განხორციელებას უზრუნველყოფს განსხვავებული ტიპისა და პროფილის მრავალრიცხოვანი ორგანიზაციები მათთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების საფუძველზე.

აკრედიტაციის პროცესისთვის მზადების პერიოდში პროგრამამ განახორციელა რიგი მნიშვნელოვანი და დადებითი ცვლილებები:

- პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების განახლება- ეროვნულ კვალიფიკაციათა ჩარჩოსთან და სწავლის შედეგების კლასიფიკატორთან შესაბამისობაში მოყვანის პროცესში მოხდა პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების განახლება. მიზნები და შედეგები გახდა უფრო ნათელი, რეალისტური და მიღწევადი. განახლებული მიზნები და შედეგები უფრო ნათლად ასახავს თუ რა ცოდნას, კომპეტენციებს და უნარებს დაეუფლება კურსდამთავრებული პროგრამაში. ასევე, განახლებული სწავლის შედეგები შესაბამებამისობაშია ამჟამინდელ მოქმედ კვალიფიკაციათა ჩარჩოს მე-7 დონესთან და მოიცავს ცოდნის და განცობიერების, უნარებისა და ავტონომიურობის-პასუხისმგებლობის სწავლის შედეგებს.

- თემატური სწავლების დანერგვა- პროგრამამ დანერგა თემატური სწავლება სხვადსხვა მიმართულებით (იხილეთ კატეგორიების ჩამონათვალი), რომელიც შესაბამისობაშია 2018 წელს მიღებულ კანონთან სოციალური მუშაობის შესახებ:
- სოციალური მუშაობა ბავშვთა ზრუნვის სფეროში;
- სოციალური მუშაობა მართმსაჯულების სფეროში;
- სოციალური მუშაობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში;
- სოციალური მუშაობა საგანმანათლებლოს სფეროში;

პროგრამა სტუდენტებს სთავაზობს სამ საგანს კონკრეტული სპეციალიზაციით დაინტესების შემთხვევაში (ერთ სავალდებულოს და ორ არჩევითს), ხოლო სტუდენტებს, რომლებიც არ არიან დაინტერესებული უშუალო პრაქტიკის განხორციელებით სამაგისტრო სწავლების დასრულების შემდეგ, ან სურთ უშუალო პრაქტიკის განხორციელება სხვა სამიზნე ჯგუფებთან ან სფეროებში, შესაძლებლობა აქვთ აირჩიონ არჩევითი კურსები ზემოთ აღნიშნული კატეგორიზაციის გარეშე ე.ი. თავისუფალ რეჟიმში. ახალ კატეგორიებთან ერთად პროგრამას დაემატა ახალი არჩევითი კურსები.

- აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამების დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეფასება, 2022 წლის 13 და 14 ივნისს.
ასევე, მოხდა უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლა.

- საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

აკრედიტაციის ხუთი სტანდარტის მიხედვით, რომლის შესწავლაც დაევალა ექსპერტთა ჯგუფს, სოციალური მუშაობის სამაგისტრო პროგრამამ აჩვენა, რომ პროგრამა შესაბამისობაშია ხუთივე სტანდარტთან.

- პროგრამა შესაბამისობაშია პირველი სტანდარტის მოთხოვნებთან (საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა);
- პროგრამა შესაბამისობაშია მეორე სტანდარტის მოთხოვნებთან (სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა);
- პროგრამა შესაბამისობაშია მესამე სტანდარტის მოთხოვნებთან (სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა)
- პროგრამა შესაბამისობაშია მეოთხე სტანდარტის მოთხოვნებთან (სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა).
- პროგრამა შესაბამისობაშია მეხუთე სტანდარტის მოთხოვნებთან (სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები).

- **რეკომენდაციები**

არ არის წარმოდგენილი

- რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

2.3. სასწავლო კურსი

მოხდეს ქვემოთ ჩამოთვლილ კურსებზე მოთხოვნილი საკითხავი ლიტერატურის გამრავალფეროვნება

- **სოციალური მუშაობა ნივთიერებებზე დამოკიდებულ პირებთან**
- **სოციალური მუშაობა საგანმანათლებლო სისტემაში**
- **ჯანმრთელობა და ქცევის ცვლილების თეორიები**

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

- რჩევის სახით ეძლება პროგამას, რომ შეძლებისდაგვარად, პროგრამის რესურსებიდან და ფორმტიდან გამომდინარე მოხდეს სტუდენტების მიერ რაოდენობრივი კვლევისთვის საჭირო უფრო მაღალი დონის უნარ-ჩვევების გამომუშავება, სასურველია პროგრამამ შეიმუშავოს და სავალდებულო გახადოს სტატისტიკის მოკლე, შესავალი კურსი, როგორც წინაპირობა რაოდენობითი კვლევის მეთოდების კურსზე დასაშვებად. ეს ხელს შეუწყობს საქართველოში რაოდენობრივი კვლევების პოპულარიზაციას და სოციალური სამუშაოს პროფესიის პრესტიჟულობის ამაღლებას.

- სასურველია მოხდეს სტუდენთა წახალისება (დამატებითი ქულების მინიჭება -extra credit) „სტუდენტთა ჟურნალი სოციალურ მეცნიერებებში“ სტატიების გამოქვეყნების შემთხვევების გაზრდის მიზნით;

- მოხდეს რაოდენობრივი კვლევის შედეგებზე დაფუძნებული სამაგისტრო ნაშრომების პოპულარიზაცია და რაოდენობის გაზრდა

4.3 მატერიალური რესურსი

- სასურველია სტუდენტების სააუდიტორიო და სამუშაო სივრცეების ტექნიკური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

2.3. სასწავლო კურსი

- პროგრამის მიერ წარმოდგენილი სოციალური მუშაობის სპეციალობის კურსები არის მრავალფეროვანი, საინტერესო და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისი.
- სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში სოციალური მუშაობის პრაქტიკის განხორციელებას უზრუნველყოფს განსხვავებული ტიპისა და პროფილის მრავალრიცხოვანი ორგანიზაციები, მათთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდმუმების საფუძველზე.

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

- ფუნქციონირებს სტუდენტთა ჟურნალი სოციალურ მეცნიერებებში, რაც ძალიან კარგ შესაძლებლობას აძლევს სტუდენტებს კვლევითი კომპეტენციების გასავითარებლად.

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- ქართულენოვანი სასწავლო ლიტერატურის შექმნის წახალისება;
- კვლევით პროექტებში მაგისტრანტებისა და აკადემიური/მოწვეული პერსონალის თანამშრომლობის შესაძლებლობა

5.1. შიდა ხარისხის შეფასება

- პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდაჭერის კომიტეტის ეფექტური ფუნქციონირება და შიდა ექსპერტიზა დაინტერესებულ მხარეთა მაღალი ჩართულობით.

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამაგისტრო პროგრამის მიზანია სოციალური მუშაობის პროფესიონალი პრაქტიკოსების, მკვლევრებისა და მომავალი აკადემიური პერსონალის მომზადება. პროგრამა მიზნად ისახავს უზრუნველყოს მაღალკვალიფიციური სოციალური მუშაკების მომზადება, რომლებიც პროფესიულ ეთიკასა და ღირებულებებზე დაყრდნობით, განახორციელებენ უშუალო პრაქტიკას, ხელს შეუწყობენ სოციალური მომსახურებების, პროგრამებისა და პოლიტიკის ფორმირების პროცესში ადამიანების უფლებების და სოციალური სამართლიანობის პრინციპების დაცვას და დახელოვნებული არიან კვლევის სხვადასხვა მეთოდის გამოყენებაში. პროგრამა უზრუნველყოფს: ● პროფესიული ცოდნისა და კრიტიკული უნარ-ჩვევების მქონე სოციალურ მუშაკების მომზადებას, რომლებიც ეუფლებიან როგორც თეორიულ ცოდნას ასევე ახდენენ პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებას; ● სტუდენტების მომზადებას როგორც სოციალური სამუშაოს პრაქტიკული საქმიანობის, ასევე სურვილის შემთხვევში, სადოქტორო პროგრამაზე სწავლის გასაგრძელებლად; ● სტუდენტების დახელოვნებას კრიტიკული აზროვნების უნარ-ჩვევების განვითარებაში, მათთვის სოციალური სისტემების მუშაობის მექანიზმების გაცნობას, პროფესიული ქცევისა და ეთიკის სტანდარტების დაუფლებას და მათი გამოყენებას მომიჯნავე დარგებში არსებულ კრიტიკულ ცოდნასთან ერთად მომსახურების მიმწოდებელ სისტემებთან/მომსახურების მიმღებ პირებთან მუშაობისას. ● პროგრამის მიზნები არის ნათლად ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია უნივერსიტეტის მისიასთან, მიზნებთან და სტრატეგიულ გეგმებთან. პროგრამის მიზნები ასახავს იმ ცოდნას, უნარებსა და კომპეტენციებს რომლის დაუფლებასაც ახდენს სტუდენტი პროგრამის დასრულების შემდგომ. პროგრამის მიზნები პირდაპირ კავშირშია სოციალური სამუშაოს დარგის, მეცნიერების და და საზოგადოების განვითარებისთვის არსებულ საჭირობებეთან და მოთხოვნებთან . ● პროგრამის შესახებ ინფორმაცია არის საჯარო და ხელმისაწვდომია პროგრამის ვებ-გვერდზე. პროგრამის შედეგები ასევე ითვალისწინებს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და საერთაშორისო ბაზრის ტენდენციებს, ასევე, სფეროს და საზოგადოების განვითარების

მოთხოვნებს; ბაზრის კვლევის ანგარიშში დეტალურადაა მოცემული თუ რა უნარებს და კომპეტენციებს გამოიმუშავებენ პროგრამის კურსდამთავრებულები. ასევე, აღსანიშნავია, რომ პროგრამის შემუშავების დროს მონაწილეობენ დამსაქმებლებიც, ასევე სტუდენტებიც. პროგრამა ითვალისწინებს მათ საჭიროებებს. პროგრამის მიზნები და ამოცანები გაზიარებულია პროგრამაში ჩართული პირების მიერ. ამრიგად, პროგრამის შედეგები მიღწევადია არსებული პოგრამის შინაარსისა და რესურსების გათვალისწინებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში ○ პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი (პროგრამის კურიკულუმი) ○ სოციალური მუშაობის სამიზნე ნიშნულები ○ საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების რუკა ○ პროგრამის აკადემიურ პერსონალთან დისტანციური შეხვედრები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა √ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამაში სწავლის შედეგები ნათლად აღწერს იმ ცოდნას, უნარებს და კომპეტენციებს, რომლებიც სტუდენტებმა უნდა შეიძინონ პროგრამის დასრულებისას. პროგრამის მიზნები ლოგიკურადაა დაკავშირებული სწავლის შედეგებთან, სწავლის შედეგები კი სრულად შეესაბამება სწავლის საფეხურის აღმწერებს. სწავლის შედეგები ფორმულირებულია ახალი ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით.

პროგრამამ მოახდინა სწავლის შედეგების განახლება პროგრამის განხორციელების პროცესში გამოვლენილი ძლიერი და სუსტი მხარეების გააზრების შემდეგ. ცვლილებების მიღების პროცესში გამოყენებულ იქნა გზამკვლევებისა და სხვადასხვა შეფასებების დასკვნები. როგორც პროგრამის მიერ წარმოდგენილ თვითშფასების დოკუმენტშია აღწერილი, პროგრამის სწავლის შედეგების ფორმირება თანმიმდევრული და მონაწილეობითი პროცესი იყო და მასში ჩართულები იყო სხვადასხვა მხარე: აკადემიური პერსონალი, სტუდენტები/კურსდამთავრებულები, ფაკულტეტის და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლები დას ასევე, პოტენციური დამსაქმებლები. პროგრამაში გაცხადებული სწავლის შედეგების თანახმად პროგრამის დასრულების შემდგომ კურსდამთავრებულები იძენენ სხვადასხვა პროფესიისთვის და დასაქმების ბაზრისთვის მოთხოვნად და აუცილებელ ცოდნასა და უნარ- ჩვევებს, რაც ნათლადაა გაწერილი თვითშეფასების დოკუმენტში. ასევე, პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტები იძენენ იმ ყველა საჭირო ცოდნასა რაც აუცილებელია სწავლის შემდომი საფეხურის გასაგრძელებლად, ამ შემთხვევაში სადოქტორო პროგრამაში ჩარიცხვისთვის. სტუდენტი პროგრამაში გადის ყველა საჭირო საგანს რაც მას საშუალებას აძლევს წარმოადგინოს სადაქტორო პროგრამაში ჩარიცხვისთვის აუცილებელი კვლევის განაცხადი და სხვა. სწავლის შედეგები არის გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტურია. თითოეული სწავლის შედეგი აღწერილია დაკვირვებადი პროცესით/აქტივობით/შედეგით, რაც, ასევე წარმოდგენილია სწავლის შედეგების შეფასების ინსტრუმენტებში. სავალდებულო (ასევე, არჩევითი) სასწავლო კურსების სწავლის შედეგები და შინაარსი შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. პროგრამის სწავლის შედეგებში მაქსიმალურადაა ასახული სფეროს სპეციფიკა და შრომის ბაზრის მოთხოვნები. პროგრამას გააჩნია სწავლის შედეგების შეფასების გეგმა. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისას გამოიყენება როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი (მაგ., სტუდენტების, დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგები) მეთოდები. პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად განსაზღვრულია სამიზნე ნიშნულები, რომელთა შემუშავებისას გათვალისწინებულია პროგრამის კურსდამთავრებულთა აკადემიური მოსწრებისა და პროგრამიდან განთესვის მაჩვენებლები. პროგრამის თვითშეფასების ჯგუფი პერიოდულად აფასებს პროგრამას და მის შედეგებს და პერიოდულად მიმდინარეობს შედეგების მონიტორინგი და სამიზნე ნიშნულებთან დადარება; პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალი იცნობს სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებს; უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი იღებს მხარდაჭერას სწავლის შედეგების შედგენის, გაზომვისა და ანალიზის უნარების განვითარებისთვის; ასევე, სტუდენტები იღებენ უკუკავშირს, თუ რამდენად მიაღწიეს პროგრამის სწავლის შედეგებს. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოყენებულია პროგრამის გასაუმჯობესებლად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა და სასწავლო კურსის სილაბუსები (დანართი1); ○ პროგრამის სამუშაო ჯგუფის ოქმები (სტუდენტები, კურდამთავრებულები, დამსაქმებლები) (დანართი 2);

○ პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა (დანართი 9); ○ დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგები (დანართი 10); ○ საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საბჭოს სხდომის ოქმი (დანართი 17); ○ კურსდამთავრებულთა უმაღლესი განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების მაჩვენებელი - იხ. თვითშეფასების რაოდენობრივი მაჩვენებელი:
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა √ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თვითშეფასების დოკუმენტზე დაფუძნებით პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობა შეიცვალა. თუკი ადრე იყო წერითი გამოცდა სპეციალობაში ბილეთებით, ახლა პროგრამაში ჩარიცხვისთვის საჭიროა: ▯ მინიმუმ ბაკალავრის ხარისხი; ▯ საერთო სამაგისტრო გამოცდა; ▯ ზეპირი გამოცდა სპეციალობაში. გამოცდა სპეციალობაში ორი კომპონენტისაგან შედგება: წერითი გამოცდა (არგუმენტირებული ესსეს დაწერა) და გასაუბრება. წერითი გამოცდა შეადგენს საბოლოო შეფასების 40 პროცენტს, ხოლო გასაუბრება 60 პროცენტს. პირველ ეტაპზე სამაგისტრო პროგრამაზე ჩაბარების მსურველები წერენ ესსეს საგამოცდო კომისიის მიერ პროგრამის მიზნების გათვალისწინებითგანსაზღვრულ თემაზე. წარმოდგენილი ესსეს მიხედვით ფასდება სწავლის მსურველთა ცოდნის დონე სოციალური მუშაკის პროფესიულ როლზე მიმდინარე სოციალურ მოვლენებში. ესსე შეადგენს საბოლოო შეფასების 40 პროცენტს. ის ფასდება შემდეგ კრიტერიუმებზე დაყრდნობით: პროფესიული როლის გააზრების ხარისხი - 20 ქულა არგუმენტაციის უნარი - 10 ქულა კრიტიკული ანალიზის უნარი - 10 ქულა ესსეს მოცულობა უნდა იყოს არაუმეტეს 3 გვერდი. მეორე ეტაპზე სტუდენტები გაივლიან გასაუბრებას სპეციალობასა და უცხო ენაში პროგრამის ხელმძღვანელისა და მიმართულების აკადემიურ პერსონალისაგან დაკომპლექტებული კომისიის წინაშე. გასაუბრება შეადგენს საბოლოო შეფასების 60 პროცენტს. ამრიგად, პირთა პროგრამაზე დაშვების პირობები და პროცედურები არის შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი (პროგრამის კურიკულუმი) ○ სამაგისტორო საგანმანათლებლო პროგრამა (დანართი 1). ○ თსუ წესდება - https://old.tsu.ge/data/file_db/sajaro/tsu-s_wesdeba_11_25.pdf ○ უნივერსიტეტი ვებგვერდი www.tsu.ge ○ ფაკულტეტის ვებგვერდი: https://bit.ly/3y21Iov
რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა √ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით, პროგრამის სტრუქტურა ხელს უწყობს პროგრამის მიზნისა და და სწავლის შედეგების მიღწევას. სწავლის განმავლობაში მაგისტრანტმა უნდა დააგროვოს 120 კრედიტი (85 კრედიტი სავალდებულო (აქედან 30 სამაგისტრო ნაშრომისთვის), 35 კრედიტი არჩევითი კურსებისთვის), რომელთა განაწილებაც პროგრამის კომპონენტებს შორის ხდება თეორიული და პრაქტიკული კომპონენტის საერთაშორისოდ მიღებული თანაფარდობის (პრაქტიკას ეთმობა 15 კრედიტი)პრინციპებისა დაადგილობრივი თუ საერთაშორისო გაიდლაინების/სახელმძღვანელო პრინციპების გათვალისწინებით. სამაგისტრო პროგრამა სრულდება სამაგისტრო ნაშრომის წარდგენით სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს მიერ დამტკიცებული წესით და ნაშრომის კომისიის წინაშე საჯარო დაცვით.სამაგისტრო პროგრამის შესახებ ინფორმაცია საჯაროა და განთავსებულია ვებ-გვერდზე. ამრიგად, პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს; პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას; პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად; პროგრამის შინაარსი ითვალიწინებს სფეროს თანამედროვე მიღწევებს; პროგრამაში ჩართულია ყველა დაინტერესებული მხარე, მათ შორის დამსაქმებლები და სტუდენტები. უსდ უზრუნველყოფს პროგრამის შესახებ ინფორმაციის საჯაროობასა და

ხელმისაწვდომობას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში ○ პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი (პროგრამის კურიკულუმი) ○ სამასიტრო პროგრამის სილაბუსები (დანართი1) ○ კურიკულუმის რუკა (დანართი 9); ○ შრომის ბაზრის ანალიზი (დანართი 10); ○ სოციალური მუშაობის დარგობრივი მახასიათებლები (დანართი 17); ○ სოციალური მუშაობის სამაგისტრო პროგრამის *ეროვნულ კვალიფიკაციის ჩარჩოსა* და *სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან* შესაბამისობის შეფასების დასკვნა (დანართი 17);
- **რეკომენდაციები:**
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა √ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი
➢ ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ სოციალური მუშაობის სამაგისტრო პროგრამის სასწავლო კურსები (სავალდებულო, სავალდებულო-არჩევითი), ძირითადად, შეესაბამება პროგრამის მიზანს და სწავლის შედეგებს. კურსების საკრედიტო მოცულობა, არსებითად, უზრუნველყოფს თითოეული კურსით გათვალისწინებული თემების დაუფლებას. სილაბუსებში გაწერილი ლიტერატურა პასუხობს სილაბუსით გაწერილ თემებს და აცნობს სტუდენტებს მოცემული დარგის თანამედროვე მიღწევებს.

მოხდა საგნებს შორის ლიტერატურის/მასალების გადახედვა გადაფარვის აღმოფხვრის მიზნით.
პროგრამას დაემატა თემატური სპეციალიზაციის კომპონენტი.

პროგრამის საბაზისო სავალდებულო კურსები ისწავლება სწავლის დაწყების პირველივე სემესტრში, როლო სწავლის მეორე წელს, სტუდენტებს ეძლევათ საშუალება პრაქტიკული სწავლების პროფილურ კომპონენტთან ერთად შეარჩიონ მინიმუმ ორი არჩევითი კურსი. პროგრამა სტუდენტებს სთავაზობს ოთხ სხვადასხვა სპეციალიზაციას, რომეც განსაზღვრულია საქართველოს კანონით სოციალური მუშაობის შესახებ.
სტუდენტებს შეუძლიათ შეარჩიონ სპეციალობაში სამუშაო მეთოდების სამი დონე: მიკრო, მეზო და მაკრო. ამასთანავე, მესამე სემეტრში სტუდენტებს ეძლევათ საშუალება სფეროების მიხედვით ბლოკირებული კურსების პროფესიული პრაქტიკის სასურველ დონესთან კომბინირება.

პროგრამის ძლიერ მხარეს წარმოადგენს პრაქტიკის კომპონენტი, რომელიც მორგებულია სტუდენტების ინტერესებზე და მოიცავს 15 კრედიტს. პრაქტიკის მიზანი და უნარ-ჩვევები და ცოდნა, რომელსაც სტუდენტები მიიღებენ პრაქტიკის დასრულების შემდეგ ნათლად არის აღწერილი თანდართულ პრაქტიკის გზამკვლევში. გზამკვლევი ასევე ნათლად ასახავს ორგანიზაციების და კოორდინატორების შერჩევის მოთხოვნებს, კოორდინატორების და სტუდენტების პასუხისმგებლობებს, სტუდენტების შეფასებასა და მონიტორინგს პრაქტიკის ორგანიაციებში და ა.შ.

თუმცა პროგრამის კურსების ჩამონათვალში კარგი იქნება თუ ზოგიერთ კურსების ლიტერატურის ჩამონათვალი გამრავალფეროვნდება. მაგალითად, ისეთი კურსებისთვის, როგორებიცაა:

- **სოციალური მუშაობა ნივთიერებებზე დამოკიდებულ პირებთან**
- **სოციალური მუშაობა საგანმანათლებლო სისტემაში**
- **ჯანმრთელობა და ქცევის ცვლილების თეორიები**

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში
- კურიკულუმის რუკა (დანართი 9)
- სილაბუსები (დანართი 1)
- სასწავლო კურსის სწავლის შედეგების შეფასების შედეგები (დანართი 9).

რეკომენდაციები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

მოხდეს ქვემოთ ჩამოთვლილ კურსებზე მოთხოვნილი საკითხავი ლიტერატურის გამრავალფეროვნება

- **სოციალური მუშაობა ნივთიერებებზე დამოკიდებულ პირებთან**

- **სოციალური მუშაობა საგანმანათლებლო სისტემაში**
- **ჯანმრთელობა და ქცევის ცვლილების თეორიები**

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პროგრამის მიერ წარმოდგენილი სოციალური მუშაობის სპეციალობის კურსები არის მრავალფეროვანი, საინტერესო და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისი.
- სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში სოციალური მუშაობის პრაქტიკის განხორციელებას უზრუნველყოფს განსხვავებული ტიპისა და პროფილის მრავალრიცხოვანი ორგანიზაციები, მათთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდმუმების საფუძველზე.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

√☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამაგისტრო პროგრამა უზრუნველყოფს იმას რომ სტუენტების მიერ მოხდეს პროფესიისთვის აუცილებელი ცოდნის და პრაქტიკული, კვლევითი და ტრანსფერული უნარ-ჩვევების შეძენა, რაც ნათლად ასახულია პროგრამის კურსების სილაბუსებში და წარმოდგენილ კურიკულუმის რუქაზე.

კერძოდ, პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტის მიერ სამეცნიერო/კვლევითი, პრაქტიკული და ტრანსფერული უნარების განვითარებებას შემდეგნაირად:

- სტუდენტი გადის პრაქტიკის/პრაქტიკუმის 3 სავალდებულო კურსს 15 კრედიტის მოცულობით; პრაქტიკის კოპონენტი საშიალებას აძლევს სტუდენტს გამოიმუშავოს ზემოთაღნიშნული უნარ-ჩვევები და ცოდნა;
- სტუდენტები პრაქტიკას გადიან საქართველოში ფუქნციონირებად 60 ორგანიზაციაში რომლებიც ახორციელებენ სოციალურ მუშაობის პრაქტიკას სხვადასხვა დონეზე; წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე, პრაქტიკის ხელმძღვანელებს აქვთ სფეროს შესაბამისი კვალიფიკაცია.
- პრაქტიკის ორგანიზაციაში სტუდენტთა პრაქტიკის ხელმძღვანელებთან ყოველსემესტრულად ტარდება სამუშაო შეხვედრები და ტრენინგები. ამ შეხვედრების შედეგად პროგრამა აახლებს პრაქტიკის გზამკვლევს;
- პრაქტიკის გზამკვლევში წამოდგენლია პრაქტიკის კომპონენტთად დაკავშირებული საჭირო ინფორმაცია: მაგ. ხანგრძლივობა,

პასუხისმგებლობები და ა.შ.

- სტუდენტებს მოეთხოვებათ ორიგინალური, კვლევითი სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობა და წარმოდგენა;
- პროგრამაში არსებული საკურსო დავალებები და პრეზენტაციები;
- კვლევის მეთოდების სავალდებულო (10 კრედიტი: სოციალური კვლევის მეთოდები I და სოციალური კვლევის მეთოდები II) და არჩევითი კურსებიც (5 კრედიტიანი 2 კურსი:სტატისტიკა და კვლევითი პროექტი).
- სტუდნტების სამაგისტრო ნამშრომებს ხელმძღვანელობს სფეროს კვალიფიციური პირები/ აფილირებული ან მოწვეული პროფესორების სახით.

ასევე, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ ფაკულტეტის მიერ ყოველწლიურად განხორციელებულ სტუდენტურ სამეცნიერო კონფერენციებში და ასევე, თსუ-ს მიერ ორგანიზებულ ყოველწლიურ სტუდენტურ სამეცნიერო კონფერენციებში. გარდა ამისა,სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებს ეძლევათ საშუალება გამოაქვეყნონ თავიანთი სამეცნიერო სტატიები სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე არსებულ ელექტრონულ ჟურნალში.

თუმცა, მოცემული სამაგისტრო ნაშრომების გაანალიზების შედეგად, შეიძლება ითქვას, რომ სტუდენტთა უმრავლესობა იყენებს კვლევის თვისებრივ მეთოდს, სასურველია, მოხდეს რაოდენობრივი კვლევის შედეგებზე დაფუძნებული სამაგისტრო ნაშრომების პოპულარიზაცია და რაოდენობის გაზრდა.
პროგრამის აუცილებელი და არჩევითი საგნების გადახედვის შედეგად გამოიკვეთა კვლევის მეთოდების უნარ-ჩვევებისთვის აუცილებელი და არჩევითი კურსების განახლების მიზანშეწონილობა. კერძოდ, იმისთვის რომ სტუდენტებმა შეძლონ კვლევისთვის აუცილებელი უნარების უფრო კარგად განვითარება, სასურველია პროგრამამ შეიმუშავოს მოკლე, შესავალი სტატისტიკის კურსი, რომელიც იქნება წინაპირობა კვლევის მეთოდები II სავალდებულო კურსზე დასაშვებად.
ასევე, არსებულ სტუდენტთა სამეცნიერო ჟურნალში წარმოდგენილი სტატიების მიხედვით. სოციალური სამუშაოს სტუდენტთა ჩართულობა დაბალია. სასურველია, ამ კუთხით სტუდენტთა წახალიესბის გზების დანერგვა.
ამრიგად, პროგრამა, სწავლის შედეგებისა და საფეხურის შესაბამისად, უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის პრაქტიკული უნარების გამომუშავებას და/ან მათ სამეცნიერო/კვლევით პროექტებში ჩართვას; სტუდენტები სპრაქტიკას ხელმძღვანელობას უწევს სფეროს კვალიფიციური პირი, რომელიც აფასებს სტუდენტის საქმიანობას; ჩამოყალიბებულია პრაქტიკის კონცეფცია, სადაც დეტალურად არის გაწერილია პრაქტიკის გავლის დეტალები.
დამსაქმებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები/მემორანდუმები, რომელიც ითვალისწინებს პრაქტიკის მიზანსა და ხანგრძლივობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში
- პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი (პროგრამის კურიკულუმი)
- სამაგისტრო ნაშრომები
- საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების რუკა
- ინფორმაცია სტუდენტთა ჩართულობის შესახებ სამეცნიერო კონფერენციებსა და სემინარებში იხ. თვითშეფასების რაოდენობრივი მაჩვენებლი (დანართი 18)

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- რჩევის სახით ეძლება პროგამას, რომ შეძლებისდაგვარად, პროგრამის რესურსებიდან და ფორმტიდან გამომდინარე მოხდეს სტუდენტების მიერ რაოდენობრივი კვლევისთვის საჭირო უფრო მაღალი დონის უნარ-ჩვევების გამომუშავება, სასურველია პროგრამამ შეიმუშავოს და სავალდებულო გახადოს სტატისტიკის მოკლე, შესავალი კურსი, როგორც წინაპირობა რაოდენობითი კვლევის მეთოდების კურსზე დასაშვებად. ეს ხელს შეუწყობს საქართველოში რაოდენობრივი კვლევების პოპულარიზაციას და სოციალური სამუშაოს პროფესიის პრესტიჟულობის ამაღლებას.

- სასურველია მოხდეს სტუდენთა წახალისება (დამატებითი ქულების მინიჭება - extra credit) „სტუდენტთა ჟურნალი სოციალურ მეცნიერებებში“ სტატიების გამოქვეყნების შემთხვევების გაზრდის მიზნით;

- მოხდეს რაოდენობრივი კვლევის შედეგებზე დაფუძნებული სამაგისტრო ნაშრომების პოპულარიზაცია და რაოდენობის გაზრდა

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- სტუდენტთა ჟურნალი სოციალურ მეცნიერებებში

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამაში მრავალფეროვანი სწავლება-სწავლის მეთოდებია წარმოდგენილი:

- წიგნზე მუშაობის მეთოდი;
- წერითი მუშაობის მეთოდი, რომელიც გულისხმობს შემდეგი სახის აქტივობებს: ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთება, მასალის დაკონსპექტება, თეზისების შედგენა, რეფერატის ან ესეს შესრულება, და ა.შ.;
- პრაქტიკული მეთოდები, რომლებიც სტუდენტს პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს ჩამოუყალიბებს: სასწავლო და პედაგოგიური პრაქტიკა, საველე მუშაობა და სხვ.

- დისკუსია, დებატები;
- ჯგუფური მუშაობა;
- პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება;
- შემთხვევის ანალიზი;
- გონებრივი იერიში;
- როლური და სიტუაციური თამაშები;
- ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება.
- სილაბუსებით გამოყენებული სხვა მეთოდები.
- ელექტრონული სწავლება;

ზემოტაღნიშნული მეთოდების გამოყენება უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების შედეგების მიღწევას.
ასევე, აღსანიშნავია, რომ კურსების დონეზე სასწავლო კურსებში გამოყენებული სწავლების მეთოდები მოქნილია და მორგებულია კონკრეტული კურსის მიზნებსა და შედეგებზე.

ამრიგად, თითოეული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას;

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში
- პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი (პროგრამის კურიკულუმი), აღწერილობა
- საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების რუკა
- სილაბუსები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სოციალური მუშაობის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტთა შეფასება გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი. კერძოდ, ა) სასწავლო კომპონენტის შეფასება მიმდინარეობს 100 ქულიანი სისტემით: შეფასების სისტემა, სტანდარტულად, უშვებს ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას, რომლებიც რანჟირებს 51-დან 100 ქულის ჩათვლით: (A, B, C, D და E და ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას (FX და F), რომელიც რანჟირებს 0-50 ქულების შუალედში. ბ) შულედური შეფასებები ეყრდნობა ▪ საპრეზენტაციოდ მომზადებული მოხსენება; ▪ წერითი და ზეპირი საშინაო დავალებები; ▪ შემთხვევის განხილვა; შეფასება ხორციელდება მინიმუმ ოთხ კომპონენტზე დაყრდნობით. შეფასების კრიტერიუმები მოცემულია კონკრეტულ სილაბუსებში. პროგრამის ფარგლებში უზრუნველყოფილია განმავითარებელი უკუკავშირიც. სტუდენტები იღებენ დეტალურ განმარტებებს შუალედურ და საბოლოო გამოცდებზე მათ მიერ დაშვებული შეცდომებისა და მათი გამოსწორების გზების შესახებ. ინდივიდუალური სწავლის შედეგის მიღწევის დონეზე სტუდენტს შეუძლია მიიღოს ინფორმაცია სასწავლო პროცესის მართვის სისტემის (lms.tsu.ge) დაელექტრონული სწავლების პორტალის (e-learning.tsu.ge) საშუალებით. სტუდენტის შეფასებასთან დაკავშირებული ინფორმაცია არის საჯარო, ღია, გამჭვირვალე და ხელმისაწვდომია სტუდენტებისათვის(სასწავლო კურსები განთავსებულია lms პლატფორმაზე). შეფასებასთან დაკავშირებით ყველა საკითხის განხილვა ხდება უშუალოდ ლექტორებთან და სასწავლო კურსის ხელმძღვანელებთან კონსულტაციების დროს. სამაგისტრო ნაშრომები იტვირთება პროგრამაში „Moodle” და მოწმდება პლაგიატზე პროგრამა ,,Turnitin”-ით. ასევე, სამაგისტრო დაცვის წინა ეტაპზე მოქმედებს მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს დაცვისთვის შესაბამისი სტანდარტის სამაგისტრო ნაშრომის წარდგენას. შემუშავებულია წინასწარდაცვაზე ხელმძღვანელის ვიზირების წესი. შეფასების პროცედურები ითვალისწინებენ რეცენზენტების და სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრების მიერ გადაწყვეტილების მიღებას ნაშრომის დაცვისთვის წარდგენის შესახებ შესაბამისი ფორმის მიხედვით (იხ. სამაგისტრო ნაშრომის დაცვის წესი: https://cutt.ly/hOMKfHz). ამრიგად, სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად, სამართლიანად გამოიყენება ყველა სტუდენტის მიმართ, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი; თითოეული სასწავლო კურსის შეფასების კომპონენტები და მეთოდები ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას და შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს. უნდა ითქვას, რომ შემფასებლისთვის კარგადაა ცნობილი შეფასების თანამედროვე მეთოდები და ამ სფეროში უნარების განვითარებისათვის იღებენ მხარდაჭერას; გამოყენებული შეფასების ფორმები, კომპონენტები და მეთოდები არის გამჭვირვალე, გამოქვეყნებულია და წინასწარ ცნობილია სტუდენტისათვის; უნდა ითქვას, რომ სტუდენტები იღებენ უკუკავშირს, სწავლის შედეგებზე, აგრეთვე საკუთარი ძლიერი და

სუსტი მხარეებისა შედეგების გაუმჯობესების შესახებ; შეფასება ხორციელდება ერთზე მეტი შემფასებლის მიერ. კერძოდ, პრაქტიკის კურსების შეფასების დროს შეფასებაში ჩართულია ასევე პრაქტიკის ხელმძღვანელი. ამასთან, უზრუნველყოფილია სტუდენტთა შეფასების შედეგების გასაჩივრება; რაც ცნობილია თავად სტუდენტებისთვისაც. პეიოდულად ხდება შეფასების შედეგების ანალიზი და მისი გამოყენება სწავლების პროცესის გასაუმჯობესებლად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში ○ პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი (პროგრამის კურიკულუმი), აღწერილობა ○ სილაბუსები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა √ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	X			

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალური მუშაობის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტისას დადასტურდა, რომ უნივერსიტეტში არსებობს სტუდენტზე ორიენტირებული გარემო. სტუდენტს შეუფერხებლად მიეწოდება სასწავლო პროცესის დაგეგმვა-განხორციელებასთან დაკავშირებული ყველა საჭირო ინფორმაცია. სამაგისტრო პროგრამის სტუდენტთა ინფორმირება ხორციელდება, როგორც ადმინისტრაციული ასევე აკადემიური პერსონალის მხრიდან. სტუდენტები იღებენ კონსულტაციას და მხარდაჭერას სასწავლო პროცესის დაგეგმვასთან, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასთან, კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით. სტუდენტები ინფორმირებულები არიან უნივერსიტეტში არსებული კონსულტაციებისა თუ სხვა მხარდამჭერი აქტივობების შესახებ. სასწავლო კურსების და აკადემიური/მოწვეული პერსონალის არჩევის პროცესში დაწესებულება სტუდენტთა ინტერესებს მაქსიმალურად იღებს მხედველობაში. სტუდენტებს სასწავლო პროცესის მიმდინარეობასთან დაკავშირებით მიეწოდებათ დეტალური ინფორმაცია და აქვთ კომუნიკაცია, როგორც დაწესებულების ადმინისტრაციასთან, აკადემიურ თუ მოწვეულ პერსონალთან, ასევე წვდომა სასწავლო კურსით განსაზღვრულ მასალებზე, საბიბლიოთეკო რესურსებსა და სასწავლო გეგმაზე. უნივერსიტეტის ელექტრონული პორტალის მეშვეობით ყველა სერვისის ხელმისაწვდომობა მოქნილი და კომფორტულია. უნივერსიტეტის მიერ დამსაქმებელთა, პროფესორ-მასწავლებლების, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების შეფასებებით მიღებული უკუკავშირის შესაბამისად, პროგრამით განსაზღვრული საგნები მაქსიმალურად ორიენტირებულია სწავლების თანამედროვე მეთოდების გამოყენებაზე. სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ სხვადასხვა საგანმანათლებლო და აკადემიურ აქტივობებში ჩართვის. ისინი ინფორმირებულები არიან ადგილობრივი და საერთაშორისო პროექტების, კონფერენციებისა და კვლევების შესახებ. ასევე, აქვთ ხელმისაწვდომობა საერთაშორისო გაცვლით პროექტებსა და სტაჟირებაზე. სასწავლო პროცესის ორგანიზებასთან დაკავშირებით, სტუდენტებს ინფორმაცია მიეწოდებათ უნივერსიტეტის ადმინისტრაციის სხვადასხვა რგოლისგან, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების მიზნით, მუდმივ რეჟიმში იღებენ უკუკავშირს პროფესორ-მასწავლებლებისგან. მათ შორის, ლექტორთა დატვირთვის გაანგარიშებისას გათვალისწინებულია საკონსულტაციო დატვირთვა. უნივერსიტეტში სტუდენტს წვდომა აქვს უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო და ელექტრონულ რესურსებზე. სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ საჭიროა ელ-სამეცნიერო ბაზების შესახებ ცნობიერების ამაღლება. უნივერსიტეტში შექმნილი გარემო სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურების სტანდარტის მოთხოვნებს აკმაყოფილებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- სოციალური მუშაობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამის სილაბუსები;
- ექსპერტთა ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუს შედეგები - დაწესებულების ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, უსდ-ს სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს დამტკიცებული აქვს სამაგისტრო ნაშრომის წარდგენის, დაცვისა და შეფასების პროცედურა, სადაც წარმოდგენილია ინფორმაცია სამაგისტრო ნაშრომის შესრულების, სამაგისტრო თემის ხელმძღვანელის შერჩევისა და ვალდებულებების შესახებ. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით სამაგისტრო თემის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე აკადემიური პერსონალი ან საგანმანათლებლო პროგრამაში მოწვეული პირი, რომელსაც აქვს სამაგისტრო თემასთან დაკავშირებული სამეცნიერო სფეროში კვლევის გამოცდილება.
უნივერსიტეტის სამსგისტრო ნაშრომის დაცვის წესში მითითებულია, რომ მაგისტრანტს შეიძლება ჰყავდეს ერთზე მეტი ხელმძღვანელი. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი ან/და კონკრეტული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მოწვეული პედაგოგი. ერთ სასწავლო სემესტრში აკადემიურ პერსონალს/მოწვეულ პედაგოგს შეუძლია არაუმეტეს 5 მაგისტრანტის ხელმძღვანელობა. ამ დროისთვის პროგრამაზე 10 აქტიური სტატუსის მქონე

მაგისტრანტია, სადაც ხელმძღვანელების თანაფაროდბა სტუდენტებთან არის 6/10. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელმა კონსულტაცია უნდა გაუწიოს მაგისტრანტს საკვლევი თემის განსაზღვრასა და შერჩევაში, კვლევის დიზაინის ჩამოყალიბებაში, კვლევითი აქტივობის დაგეგმვაში, ნაშრომის სტრუქტურულ, სტილისტურ და აკადემიურ გაფორმებაში. დამტკიცებული სამაგისტრო ნაშრომის მომზადება ხორციელდება ხელმძღვანელის უშუალო კონსულტირებითა და მონიტორინგით. თემის ხელმძღვანელებს რეგულარული შეხვედრები აქვთ მაგისტრატურის სტუდენტებთან. კონსულტაციების სიხშირე შეესაბამება პროგრამისა და საკვლევი თემის სპეციფიკას. ინტერვიუს შედეგად ასევე გამოიკვეთა, რომ აკადემიური პერსონალი მაქსიმალურად უზრუნველყოფს სტუდენტთან სამაგისტრო საფეხურზე შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის წარმოებას და მათთვის დახმარების გაწევას საერთაშორისო პუბლიკაციების მომზადებასა თუ კვლევითი გრანტების მოპოვების პროცესში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით ○ სოციალური მუშაობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში; ○ უსდ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულება; ○ უსდ-ს სამაგისტრო ნაშრომის დაცვის წესი; ○ აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები; ○ ექსპერტთა ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუს შედეგები - დაწესებულების ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, უსდ-ს სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○
შეფასება ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			

4.სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თანდართული დოკუმენტების შესწავლის და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად გამოვლინდა, რომ სოციალური მუშაობის სამაგისტრო პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე კადრები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.

კადრების კვალიფიციურობას განაპირობებს თავად უნივერსიტეტის საკადრო პოლიტიკა. თსუ–ს ამა თუ იმ აკადემიურ თანამდებობაზე არჩევა ხდება კონკურსანტის კვალიფიკაციისა და კომპეტენციის შესაბამისობის მიხედვით და აკადემიურ თანამდებობაზე არჩეული არიან მხოლოდ ის პირები, რომელთაც აქვთ დოქტორის აკადემიური ხარისხი და დასაკავებელი ვაკანსიის შესაბამისი პედაგოგიური გამოცდილება (პროფესორს არანაკლებ 6 წლის და ასოცირებულ პროფესორს არანაკლებ 3 წლის გამოცდილება). აკადემიური პერსონალის შერჩევისას გათვალისწინებულია სხვადასხვა სამეცნიერო კომპონენტები, მაგალითად, პროდუქტიულობა სამეცნიერო კვლევის მიმართულებით, საერთაშორისო და ეროვნული საგრანტო პროექტების ხელმძღვანელობა, ან მონაწილეობა, უცხოეთის უმაღლეს სასწავლებლებთან ერთობლივ სასწავლო ან

სამეცნიერო პროექტებსა და პროგრამებში მონაწილეობა, სამეცნიერო მივლინება ან სტაჟირება უცხოეთში.
მოწვეული პერსონალის შერჩევისას სხვადასხვა კრიტერიუმებია განსაზღვრული იმ პირების მიმართ, რომელთა მოწვევაც ხდება სემინარული, პრაქტიკული მეცადინეობების ჩასატარებლად და იმ პირების მიმართ, რომელთაც სალექციო კურსის წაკითხვა ევალებათ. სემინარული, პრაქტიკული მეცადინეობების ჩასატარებლად შეიძლება მოწვეულ იქნას დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, გამონაკლის შემთხვევებში დოქტორანტი, რომელსაც აქვს შესაბამისი პროფილით პრაქტიკული/პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ ერთი წლის გამოცდილება და შესაბამისი პროფილით მომუშავე პროფესორის/მეცნიერის/სპეციალიტის რეკომენდაცია. სალექციო კურსის წასაკითხად საჭიროა კანდიდატს ჰქონდეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი/ან შესაბამისი პრაქტიკული გამოცდილება (ფაკულტეტის სპეციფიკის გათვალისწინებით), რომელსაც აქვს პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება და/ან პუბლიკაციები/გამოფენები/ფილმები და/ან სხვა სახის აქტივობები შესაბამისი პროფილის მიხედვით.
ბოლო წლებში პერსონალის პროფესიულ განვითარების მიმართულებით მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა, კერძოდ, სოციალური მუშაობის დოქტორის ხარისხი მოიპოვა ორმა ასისტენტ პროფესორმა და ერთმა მოწვეულმა ლექტორმა. მათ მიეცათ შესაძლებლობა აქტიურად გაეგრძელებინათ აკადემიური საქმიანობა უნივერსიტეტში. როგორც აკადემიური, ასევე მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები და აკრედიტაციის ვიზიტი აჩვენებს, რომ მათ აქვთ დარგობრივი კომპეტენცია, რასაც ადასტურებს პერსონალის სამეცნიერო აქტივობის მაჩვენებლები (პუბლიკაციები, საგრანტო პროექტები, კონფერენციები და სხვა მიღწევები). პერსონალის პირადი საქმეები და ჩატარებული ინტერვიუები ცხადყოფს, რომ პროგრამაში ჩართული პერსონალი აქტიურად თანამშრომლობს უცხოეთის (ევროპისა და ამერიკის) უნივერსიტეტებთან, იღებს მონაწილეობას საერთაშორისო თუ ადგილობრივ კონფერენციებსა და ტრენინგებში. ასევე, აღსანიშნავია, რომ პროგრამის აკადემიური პერსონალი და მოწვეული პედაგოგები აქტიურად მონაწილეობენ ქვეყანაში სოციალური პოლიტიკის, პროგრამებისა და სოციალური მუშაობის პრაქტიკის განვითარებაში. მათ მნიშვნელოვანი წვლილი აქვთ შეტანილი დარგის განვითარებაში და ინტერნაციონალიზებაში. ისინი სოციალური სამუშაოს მიმართულებით მოქმედი ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების წევრები არიან, რაც დადებითად აისახება პროგრამის მუშაობაზე. ეს სტუდენტებს ერთი მხრივ ღირებულ თეორიულ ცოდნას სძენს, ხოლო მეორე მხრივ კი მათი პრაქტიკის მიღების არეალს და დასაქმების საშუალებებს ზრდის.
სოციალური მუშაობის სამაგისტრო პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის რაოდენობაა - 4, ხოლო მოწვეულის - 11. პროგრამის აკადემიური პერსონალიდან ოთხივე ასოცირებული პროფესორია. აკადემიური/მოწვეული პერსონალის რაოდენობა და კომპეტენცია უზრუნველყოფს საგნების მრავალფეროვან არჩევანს და პროგრამის მდგრადობას. პროგრამაზე აღრიცხული აქტიურ სტუდენტთა რაოდენობა 2020-2021 სასწავლო წლებში შეადგენდა 10-ს, ამდენად აკადემიური/მოწვეული პერსონალის რაოდენობა და მათი თანაფარდობა სტუდენტთა რაოდენობის შესაბამისია.
აკადემიური პერსონალის დატვირთვა განაწილებულია თსუ-ს მიერ შემუშავებული შიდა რეგულაციის შესაბამისად. თვითშეფასების დოკუმენტის თანახმად, აღნიშნული დატვირთვა საშუალებას იძლევა, აკადემიურმა პერსონალმა შეძლოს როგორც სასწავლო, ისე სამეცნიერო აქტივობების განხორციელება და დაკისრებული ფუნქციების სათანადოდ შესრულება.
სოციალური მუშაობის სამაგისტრო პროგრამას ჰყავს მაღალკვალიფიციური ხელმძღვანელი. პროგრამის ხელმძღვანელს სოციალური მუშაობის მაგისტრის ხარისხი მიღებული აქვს ნიუ იორკის კოლუმბიის უნივერსიტეტიდან, სოციალური მუშაობის

დოქტორის ხარისხი კი ლუბლიანას უნივერსიტეტში (სლოვენია) მოიპოვა. ამასთანავე მას სადოქტორო საფეხურზე გავლილი აქვს კურსები ევროპის სხვადასხვა უნივერსიტეტებში.
პროგრამის ხელმძღვანელს აქტიური მონაწილეობა აქვს მიღებული სოციალური მუშაობის სამივე საფეხურის საგანმანთლებლო პროგრამების შექმნასა და განვითარებში. იგი ჩართული იყო პროგრამის დაარსებაში და სწავლების პროცესში. შთამბეჭდავია პროგრამის ხელმძღვანელის სამეცნიერო პროდუქტიულობის მაჩვენებელი, ის დარგისთვის მნიშვნელოვანი მონოგრაფიების, სახელმძღვანელოების და საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში გამოქვეყნებული სტატიების ავტორია/თანაავტორია. პროგრამის ხელმძღვანელი სისტემატიურად მონაწილეობს საერთაშორისო კონფერენციებსა და სამუშაო შეხვედრებში. გარდა საუნივერსიტეტო საქმიანობისა, პროგრამის ხელმძღვანელი ჩართულია დარგის განვითარებისთვის მნიშვნელოვან პროცესებში როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო დონეზე და მნიშვნელოვანი კონტრიბუცია აქვს შეტანილი სხვადასხვა საჭირო ინიციატივების განხორციელებაში.
თანდართულ დოკუმენტებში ნათლად არის ჩამოყალიბებული პროგრამის ხელმძღვანელების ფუნქციები, მაგალითად, პროგრამის გაუმჯობესებაზე ზრუნვა და მისი მუდმივი შიდა და გარე მონიტორინგი; პროგრამის შემუშავების, შეფასების და განვითარების ჯგუფის კოორდინირება; სტუდენტებთან ეფექტიანი კომუნიკაციის პროცესის წარმართვა და მათი სასწავლო პროცესის მონიტორინგი. თვითშეფასების დოკუმენტის შესწავლისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად ჩანს, რომ პროგრამის ხელმძღვანელი აქტიურად მონაწილეობდა თვითშეფასების ჯგუფის საქმიანობაში და პროგრამის გაუმჯობესების პროცესში. გარდა ამისა, აკრედიტაციის პროცესში წარმართული ინტერვიუების ფარგლებში გამოვლინდა, რომ აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასებით, პროგრამის ხელმძღვანელი გუნდურ ატმოსფეროს ქმნის და პროგრამის წარმატებული მუშაობის საფუძველს იძლევა.
პროგრამის განხორციელებაში აკადემიური პერსონალის და მოწვეული ლექტორების გარდა მონაწილეობას იღებენ უნივერსიტეტის მართვის ორგანოები და სხვა სტრუქტურული ერთეულები. პროგრამის სტუდენტები ასევე უზრუნველყოფილები არიან შესაბამისი რაოდენობის, ცოდნისა და კვალიფიკაციის ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალით, რომელთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები განისაზღვრება ყოველი კონკრეტული პოზიციისათვის, სტრუქტურული ერთეულის საქმიანობის სპეციფიკიდან გამომოდინარე. გარდა ზოგადსაუნივერსიტეტო ორგანოებისა, ფაკულტეტის ადმინისტრაციულ და დამხმარე ორგანოებს წარმოადგენს: ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, სასწავლო პროცესისა და მართვის სამსახური, სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახური, სტუდენტთა მომსახურების ცენტრი, ბიბლიოთეკა, მულტიმედია ცენტრი და სხვა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სოციალური მუშაობის სამაგისტრო პროგრამა;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციები და საქმიანობის წესი;
- აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები;
- ხარისხის უზრუნველყოფის დებულება;
- ხელმძღვანელთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგები;
- აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგები;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის ხელშეკრულების ნიმუშები;
- თსუ-ის აკადემიური საბჭოს დადგენილება N118/2014, 22 დეკემბერი, „სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების

ერთიანი წესის შესახებ“ (დამტკიცებული თსუ- ის წარმომადგენლობითი საბჭოს ოქმით N10, 29.12.2014 წ.)

- თსუ-ის აკადემიური საბჭოს დადგენილება №81/2018, 26 თებერვალი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პერსონალის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ.
https://www.tsu.ge/ge/juridical/axad_council_resolutions/2018acad/812018//
- თსუ-ის აკადემიური საბჭოს დადგენილება №64/2018, 19 თებერვალი, სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი, ასისტენტი) აფილირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ;
https://www.tsu.ge/ge/juridical/axad_council_resolutions/2018acad/64201 8//
- სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულება;
- სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პერსონალის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ დადგენილება;
- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურა;
- სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების წესი;
- დოკუმენტი თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის თანამდებობრივი სარგოს შესახებ.
- პროგრამის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის წესი.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უსდ სისტემატურად აწარმოებს სოციალური სამუშაოს სამაგისტრო პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს პერსონალის მართვის დეპარტამენტი, რომელიც ახორციელებს უნივერსიტეტის პერსონალის მართვასთან დაკავშირებული სამუშაოების ორგანიზებას, კოორდინაციას, კონტროლსა და რეალიზაციას. 2018 წელს განხორციელდა პერსონალის მართვის დეპარტამენტის ორგანიზაციული შეფასება, რომლის საფუძველზეც შემუშავდა რეკომენდაციები სამსახურის საქმიანობის გაუმჯობესებისთვის (მათ შორის, სამსახურის დებულების, პერსონალის სამუშაო აღწერილობების და შეფასების კრიტერიუმების სარეკომენდაციო პროექტები). უნივერსიტეტში არსებობს სილაბუსების სარეკომენდაციო ფორმა და ხორციელდება მათი შეფასებისა და სტანდარტთან შესაბამისობის პრაქტიკა. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე მოქმედებს პერსონალის შეფასების მექანიზმი, რომელიც ითვალისწინებს აკადემიური პერსონალის კვლევისა და სწავლებასთან დაკავშირებული პროცესის რეგულარულ შეფასებას. უნივერსიტეტის პერსონალის სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი და სახელოვნებო/შემოქმედებითი საქმიანობის შეფასება ხდება აკადემიური საბჭოს მიერ დადგენილი პერსონალის შეფასების წესით განსაზღვრული თვითშეფასების ანგარიშების და მათში წარმოდგენილი კრიტერიუმების საფუძველზე. თვითშეფასება მოიცავს ინფორმაციას როგორც სასწავლო, ასევე სამეცნიერო პროდუქტიულობის შესახებ, კერძოდ, საერთაშორისო და ადგილობრივ სამეცნიერო პროექტებში მონაწილეობას, ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობას, ადგილობრივ და საერთაშორისო რეფერირებად სამეცნიერო ჟურნალებში სამეცნიერო სტატიების გამოქვეყნებას, სახელმძღვანელოებისა და მონოგრაფიების გამოცემას. პერსონალის თვითშეფასების შედეგებს განიხილავენ და აფასებენ შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების საბჭოები და სამეცნიერო საბჭოები. თვითშეფასების პროცესი მიზნად ისახავს, რომ პერსონალმა აღიქვას უნივერსიტეტის მხრიდან მის მიმართ არსებული მოლოდინები. ასევე თვითშეფასების პროცესის შედეგად წარმოებს პერსონალის საქმიანობის სისტემატური მონიტორინგი; პერსონალის განვითარების საჭიროებების გამოვლენა; ინდივიდუალური პოტენციალის აღმოჩენა და სწორი მიმართულებებით განვითარება და შრომითი მოტივაციისა და სამუშაოთი კმაყოფილების გაზრდა. შეფასების შედეგების მიხედვით შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ღონისძიებები პერსონალის წახალისების მიზნით. პერსონალის შეფასების მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია სტუდენტთა კმაყოფილების კითხვარის შედეგები, განსაკუთრებით, სწავლებისა და შეფასების სისტემის საკითხებთან დაკავშირებით. ხარვეზების აღმოჩნისას უნივერსიტეტი პერსონალს სთავაზობს ხარისხის უზრუნველყოფისა და სასწავლო პროცესის გაუმჯობესებასთან

დაკავშირებული ტრენინგებსა და სემინარებს. ეს პერსონალის ინფორმირებულობას ზრდის ისეთი საკითხების შესახებ როგორიცაა სწავლის შედეგები, შეფასების სისტემა და მიდგომები, სწავლების მეთოდები და ტექნოლოგიები, ონლაინ სასწავლო პლატფორმების გამოყენება.

თსუ-ში მოქმედი აკადემიური პერსონალის აფილირების წესის (2018) მიზანია, უნივერსიტეტსა და მის აკადემიურ პერსონალს შორის ჩამოაყალიბოს ისეთი ორმხრივი შრომითი-სამართლებრივი ურთიერთობები, რომელიც, ერთი მხრივ, აკადემიურ პერსონალს მისცემს უნივერსიტეტის სახელით საგანმანათლებლო და სამეცნიერო საქმიანობის წარმოების საშუალებას, მეორე მხრივ, კი უნივერსიტეტს უქმნის აკადემიური პერსონალის შესაძლებლობების რეალიზების ხელშეწყობის ვალდებულებას.

თვითშეფასების დოკუმენტში ასახულია, რომ მოწვეული პერსონალის დატვირთვა დამოკიდებულია აკადემიური პერსონალის დატვირთვის განახლებად სქემასა და კონკრეტული სასწავლო კურსისა და მისი სწავლის შედეგების მიღწევის აუცილებლობაზე.

აკრედიტაციის ვიზიტზე აღინიშნა, რომ პროგრამაში ჩართულ პერსონალს მჭიდრო თანამშრომლობა აქვს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტთან. უნივერსიტეტი აკადემიური პერსონალის პროფესიონალიზმის ამაღლების მიზნით, ხელს უწყობს მათ გაცვლით პროექტებში მონაწილეობას (მაგალითად: ერაზმუს+ გაცვლითი პროგრამები; ერაზმუს მუნდუსსის გაცვლითი პროგრამები, მევლანას გაცვლითი პროგრამა, მარი კიურის მე-7 ჩარჩო პროგრამა და სხვა). ეს შესაძლებლობა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს პერსონალის ინტერნაციონალიზაციის კუთხით, რადგან პროფესიული უნარ-ჩვევების ამაღლების პარალელურ რეჟიმში ისინი ატარებენ საჯარო ლექციებს და ახორციელებენ სამეცნიერო კვლევით საქმიანობას უცხოელ კოლეგებთან ერთად. აღსანიშნავია, რომ სოციალური მუშაობის მიმართულების პროფესორებს მჭიდრო თანამშრომლობა აქვთ შეფილს ჰალამის უნივერსიტეტის (დიდი ბრიტანეთი), ლუბლიანას უნივერსიტეტის (სლოვენია), პარიზის ნანტერის უნივერსიტეტის (საფრანგეთი), ფრაიბურგის კათოლიკური უნივერსიტეტი (გერმანია), უნივერსიტეტი (ფინეთი) სოციალური მუშაობის მიმართულების პროფესორებთან და ა.შ.. სოციალური მუშაობის მიმართულებას აქვს პროგრამების ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია (2022-2024), რომელიც არსებული კავშირების კიდევ უფრო გაღრმავებისა და ინტენსიფიკაციისკენ არის მიმართული.

პროფესიული ზრდისა და სამეცნიერო აქტივობის ხელშეწყობის მიზნით ფაკულტეტი აფინანსებს როგორც აკადემიური, ასევე მოწვეული პერსონალის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილოებას. აკრედიტაციის ვიზიტზე გამოვლინდა, რომ ამ შესაძლებლობას აკადემიური/მოწვეული პერსონალი იცნობს და ხშირად უსარგებლია.

კვლევის მხარდაჭერის მიზნით თსუ-ში ფუნქციონირებს სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტი. დეპარტამენტი უნივერსიტეტის თანამშრომლებს ხელს უწყობს უნივერსიტეტში ხარისხზე და შედეგზე ორიენტირებული სამეცნიერო კვლევების განხორციელებას და ამასთანავე ეხმარება დაფინანსების მოპოვებაში. პროგრამაში ჩართული პერსონალის სამეცნიერო აქტივობის ამსახველი დოკუმენტი აჩვენებს, რომ ისინი კვლევის ხელმძღვანელის, ან მკვლევარის სტატუსით თანამშრომლობენ სხვადასხვა დონორ ორგანიზაციებთან. თავად უნივერსიტეტის მხრიდან კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის კუთხით განსაკუთრებით აღსანიშნავია საფაკულტეტო მიზნობრივი კვლევითი საგრანტო პროექტი, რაც გულისხმობს აკადემიური/მოწვეული პერსონალისა და აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტების ერთობლივი მონაწილეობით სამეცნიერო კვლევის დაფინანსებას. აღნიშნული პროექტი ახდენს აკადემიური/მოწვეული პერსონალისა და სტუდენტების თანამშრომლობის

წახალისებას, მნიშვნელოვანია მათი პროფესიული განვითარებისა და ახალი ცოდნის შექმნისა და გავრცელებისთვის.
ასევე ტარდება სხვადასხვა კონფერენციები, მაგალითად, ყოველწლიური საუნივერსიტეტო სტუდენტური კონფერენცია და სტუდენტთა საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია.
სწავლების პროცესის გაუმჯობესებისთვის ხდება სარეკომენდაციო გზამკვლევების მომზადება, დარგის ახალი სახელმძღვანელოების თარგმნა, სარეკომენდაციო ლიტერატურის ბიბლიოგრაფიის შედგენა და შესყიდვა უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის მიერ. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე მოქმედებს სახელმძღვანელოების კონკურსი, რაც გულისხმობს სასწავლო კურსებისთვის სახელმძღვანელოს შექმნას. როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაცია და აკრედიტაციის ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუები აჩვენებს, სახელმძღვანელოების კონკურსში პროგრამის პერსონალი აქტიურად იღებს მონაწილეობას. აღნიშნული საგრანტო პროექტი საშუალებას აძლევს აკადემიურ პერსონალს, სასწავლო კურსის შინაარსი უფრო ხელმისაწვდომი და სასწავლო კურსის მიზნებთან შესაბამისი გახადოს. იმის გათვალისწინებით, რომ სოციალურ მეცნიერებებში ქართულენოვანი მასალა კვლავ დეფიციტურია, აღნიშნული სახელმძღვანელოები დარგისთვისაც მნიშვნელოვან კონტრიბუციას წარმოადგენს.
უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანგარიშისა და აკრედიტაციის ვიზიტის საფუძველზე გამოვლინდა, რომ აღნიშნული სამსახური სისტემატურად გეგმავს და ახორციელებს პერსონალის საჭიროებებზე მორგებულ ტრენინგებს, სემინარებს და ვორკშოპებს ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში წამყვანი უნივერსიტეტების პროფესორებისა და ექსპერტების მონაწილეობით.
უნივერსიტეტი ასევე ზრუნავს პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებასა და პროფესიულ განვითარებაზე თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების სწავლებასა და კვლევაში დანერგვით. თსუ ჩართულია ხარისხის ერაზმუსის ინსტიტუციური განვითარების პროგრამის ერთ-ერთ პროექტში „აკადემიური კეთილსინდისიერება საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ხარისხიანი სწავლებისა და სწავლისთვის“ (INTEGRITY). აღნიშნული პროექტის ფარგლებში 2017-2020 წლებში ფარგლებში ჩატარდა მიზნობრივი ტრენინგები სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისთვის, შემუშავდა კეთილსინდისიერების პოლიტიკის დოკუმენტი, გაუმჯობესდა აკადემიური წერის სასწავლო კურსის სილაბუსები და მოხდა “Turnitin”-ის პროგრამული უზრუნველყოფის დანერგვა სასწავლო პროცესის მართვისა (LMS) და მუდლის (Moodle+Turnitin) სისტემებში. ამ ინსტრუმენტების შემუშავება პროგრამაში ჩართულ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს ეხმარება სტუდენტებში აკადემიური კეთილსინდისიერების დანერგვის ეფექტიანად უზრუნველყოფაში.
პანდემიის დაწყებასთან ერთად ფაკულტეტმა წარმატებით დაძლია ონლაინ სწავლებასთან დაკავშირებული გამოწვევები. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ არაერთი ონლაინ ტრენინგი გაიმართა დისტანციურ სწავლებასთან დაკავშირებით.
გარდა ამისა, 2018 წლიდან სისტემატურად ტარდება ტრეინინგები და სამუშაო შეხვედრები აკრედიტაციის განახლებული სტანდარტების მოთხოვნების, პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების გაწერისა და პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშის შექმნის მიზნით.
უნივერსიტეტის აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა შეძლო თანამედროვე ტექნოლოგიების სინქრონული/ასინქრონული (ZOOM, Moodle, LMS და სხვ.) ფორმით აქტიური გამოყენება. ტრენინგების დადებით ეფექტიანობას ადასტურებს უსდ-ს მიერ ჩატარებული აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოკითხვები ელექტრონულ სწავლებასთან დაკავშირებით და სტუდენტების კმაყოფილების გამოსავლენად ჩატარებული გამოკითხვები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები ● სოციალური მუშაობის სამაგისტრო პროგრამა; ● პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ● ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის 2020 წლის ანგარიში; ● ხელმძღვანელთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგები; ● აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგები; ● თსუ-ის აკადმიური საბჭოს დადგენილება №64/2018, 19 თებერვალი,სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი, ასისტენტი) აფილირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ; https://www.tsu.ge/ge/juridical/axad_council_resolutions/2018acad/64201 8// ● სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულება; ● სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პერსონალის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ დადგენილება; ● საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურა; ● სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების წესი; ● საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების ფორმა და ინდიკატორები; ● სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამებზე დისტანციურ რეჟიმში ელექტრონული ფორმით სწავლების განხორციელების კონცეფციისა და ადმინისტრირების წესის დამტკიცების შესახებ; ● თსუ-ს აკადემიური კეთილსინდისიერების პოლიტიკის დოკუმენტი; ● აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოკითხვები ელექტრონულ სწავლებასთან დაკავშირებით; ● სტუდენტების გამოკითხვები ელექტრონულ სწავლებასთან დაკავშირებით. ● თსუ-ს მიერ პერსონალის საქმიანობის შეფასებისა და კმაყოფილების კვლევისა და გამოკითხვის შედეგები; ● აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის განვითარების მიზნით განხორციელებული ღონისძიებები; ● თსუ-ს საგარეო ურთიერთობის დეპარტამენტი გაცვლითი პროგრამები; ● საერთაშორისო ან/და სამეცნიერო/კვლევით პროექტებში კონფერენციებში, კვლევებსა და ღონისძიებებში პერსონალის ჩართულობის მაჩვენებელი. ● სოციალური პროგრამების მუშაობის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია

(2022-202
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): • ქართულენოვანი სასწავლო ლიტერატურის შექმნის წახალისება; • კვლევით პროექტებში მაგისტრანტებისა და აკადემიური/მოწვეული პერსონალის თანამშრომლობის შესაძლებლობა
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა √ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამა უზრუნველყოფილია საბიბლიოთეკო, მატერიალური და ტექნიკური რესურსით რომელიც რაოდენობრივად და ხარისხობრივად უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. თსუ-ში მოქმედი საბიბლიოთეკო, მატერიალური და ტექნიკური რესურსი ხელმისაწვდომია სოციალური სამუშაოს სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებისა და პროფესორებისათვის. სტუდენტებს შეუძლიათ გამოიყენონ: საბიბლიოთეკო რესურსები, სასწავლო აუდიტორიები, საფაკულტეტო მულტიმედიაცენტრი და კომპიუტერული რესურსცენტრი. თვითშეფასების დოკუმენტის თანახმად, სტუდენტები აღნიშნული მატერიალურ-ტექნიკური რესურსების არსებობისა და გამოყენების შესაძლებლობის შესახებ სწავლის დაწყებისთანავე იღებენ ინფორმაციას. ეს ინფორმაცია შეტანილია ფაკულტეტის მიერ მომზადებულ პირველსემესტრელთა გზამკვლევშიც. **პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსი:**[3] პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსების შესახებ თსუ

[3] უნდა აღინიშნოს, რომ ამჟამად სარემონტო სამუშაოების გამო პროგრამას დროებით ალტერნატიული სივრცე აქვს გამოყოფილი.

სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის მიმართულებას ემსახურება სარესურსო ცენტრი, რომელიც მოიცავს:

- ექვს გარემონტებულ ოთახს (ფართი დაახლოებით 140კვ.მ)
- ბიბლიოთეკას, დაახლოებით, 1400 წიგნით სოციალური მეცნიერებების სფეროში
- 22 პერსონალურ კომპიუტერს
- ინტერნეტ მომსახურებას
- 5 პრინტერს
- ქსეროკოპირების მანქანას
- 2 პროექტორს
- ფაქსს, სკანერს და ა.შ.

სტუდენტებისთვის განკუთვნილ კომპიუტერებში ხელმისაწვდომია SPSS-ის პროგრამა, რომლის ათვისებაც პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევისთვის მნიშვნელოვანი ფაქტორია.

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა აღჭურვილია ელექტრონული კატალოგის სისტემით და უზრუნველყოფს სტუდენტებისათვის საჭირო წიგნების ავტომატურ მოძიებას. აკრედიტაციის ონლაინ ვიზიტის ფარგლებში დადგინდა, რომ ბიბლიოთეკაში განთავსებულია საგანმანათლებლო პროგრამის ყველა სასწავლო კურსისთვის არსებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალები, თუმცა მასალების გავრცელების თავიდან აცილების მიზნით, შეუძლებელია მათი ჩამოტვირთვა. საბიბლიოთეკო ფონდით სარგებლობის წესები, სხვა ხასიათის ინსტრუქციებთან ერთად, ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკის ინტერნეტ გვერდზე.

სტუდენტებს როგორც უნივერსიტეტიდან, ასევე უნივერსიტეტის გარე სივრცეებიდან აქვთ წვდომა ისეთ აღიარებულ საერთაშორისო ბაზებზე, როგორიცაა EBSCO, კემბრიჯის ონლაინ ჟურნალები, ოქსფორდის ჟურნალები, SAGE პუბლიკაციები, მეცნიერებადერია, JSTOR, SciVerse Scorpus, Springer ბმული, Aluka და ა.შ.. მიუხედავად ამ შესაძლებლობისა, აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად გამოვლინდა, რომ აღნიშნულ ბაზებს ძალიან ცოტა სტუდენტი იყენებს. სასურველი იქნება მათი გამოყენების სიხშირის გაზრდა სხვადასხვა საინფორმაციო კამპანიების მეშვეობით. დამატებით აღსანიშნავია, რომ პანდემიის პერიოდში ბიბლიოთეკას მუშაობა არ შეუწყვეტია და აქტიურად ეწევა ბეჭდური მასალების გაციფრების პროცესს. ამ პროცესში ბიბლიოთეკის თანამშრომლებს რობოტი სკანერიც უწევთ დახმარებას.

კონკრეტულ სემესტრში მოქმედი სასწავლო კურსის მასალები ატვირთულია e-learning.tsu.ge-ზე და Moodle-ის სასწავლო პლატფორმაზე. უნივერსიტეტში სტუდენტთა რეგისტრაციისა და სასწავლო პროცესის მართვის ხელშეწყობის მიზნით მოქმედებს საუნივერსიტეტო ქსელი „LMS" ასევე, გამოიყენება „Turnitin"-ისა და „Moodle"-ის პროგრამები. მათი დახმარებით სტუდენტებს ეძლევათ უკუკავშირი და იღებენ ინფორმაციას სიახლეების შესახებ. სასწავლო პროცესის ელექტრონული მართვის სისტემა „LMS" ხელს უწყობს სტუდენტებსა და პროგრამის განმახორციელებელ პირებს, ასევე, უნივერსიტეტის სამსახურებს შორის კომუნიკაციას.

აღსანიშნავია, რომ სტუდენტების სასწავლო პროცესის მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს პრაქტიკის კომპონენტი, რომლის განხორციელებაში ჩართულია განსხვავებული ტიპისა და პროფილის 60-მდე ორგანიზაცია. პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტების დაკავშირებას პრაქტიკის ორგანიზაციებთან. ორგანიზაციაში სტუდენტის პრაქტიკას მეთვალყურეობას უწევს პრაქტიკის ხელმძღვანელი, რომელიც პროფესიულ ზედამხედველობას ახორციელებს სტუდენტის პრაქტიკაზე. პრაქტიკის ხელმძღვანელების მომზადება-გადამზადებას ახორციელებენ სამაგისტრო პროგრამის ლექტორები, რომლებიც პრაქტიკის სწავლების კომპონენტს უძღვებიან. პრაქტიკის ხელმძღვანელები ჩართულები არიან მაგისტრანტის საუნივერსიტეტო კომპონენტში შეფასების საბოლოო

ეტაპზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური რესურსები;
- უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ბიბლიოთეკის წარმომადგენელთან ჩატარებული ინტერვიუ;
- პროგრამის ხელმძღვანელებთან და აკადემიურ პერსონალთან ჩატარებული ინტერვიუები;
- მოწვეულ პერსონალთან ჩატარებული ინტერვიუები;
- უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ბიბლიოთეკები. ბიბლიოთეკის კატალოგი: https://www.tsu.ge/ge/government/administration/departments/library/e_ catalog/;
- სასწავლო პროცესის ელექტრონული მართვის სისტემა „LMS" (http://lms.tsu.ge/);
- ელექტრონული სწავლების პლატფორმა: https://e-learning.tsu.ge/;
- უნივერსიტეტის სამეცნიერო ბაზები: https://rp.tsu.ge/index.php?option=com_content&view=article&id=150&Itemid=186&lang=ka-GE
- აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუს შედეგები;
- ფაკულტეტის ბაზაზე არსებული ინვენტარის ჩამონათვალი.
- მულტიმედია ცენტრი (http://multimedia.tsu.edu.ge/)

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია სტუდენტების სააუდიტორიო და სამუშაო სივრცეების ტექნიკური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

არ შეესაბამება

○

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სოციალური მუშაობის სამაგისტრო პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხორციელდება ფაკულტეტისთვის უნივერსიტეტიდან ყოველწლიურად გამოყოფილი ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ფარგლებში, ასევე უნივერსიტეტის ცენტრალური ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში გათვალისწინებული ხარჯებით, რომელიც ემსახურება უნივერსიტეტის ცენტრალური აპარატის ფუნქციონირების უზრუნველყოფას, კომუნალური ხარჯების დაფარვას, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნებს და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარების უზრუნველყოფას. ყოველწლიურად საფაკულტეტო ბიუჯეტის შედგენა ხდება თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო თანხების გათვალისწინებით. საერთო ბიუჯეტი ფარავს პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის შრომის ანაზღაურებას, მათი პროფესიული განვითარებისათვის საჭირო ღონისძიებების დაფინანსებას, პროგრამისთვის საჭირო მატერიალუტ-ტექნიკური ბაზის შენახვა-სრულყოფის საკითხებს, ლიტერატურის განახლებისა და სამეცნიერო-კვლევით ხარჯებს, თუმცა, სასურველი იქნებოდა, რომ სოციალური მუშაობის საბაკალავრო პროგრამისთვის გამოყოფილი თანხა წარმოდგენილი იყოს ცალკე ბიუჯეტის სახით. აკრედიტაციის პროცესში ჩატარებული ინტერვიუების ფარგლებში გამოვლინდა, რომ ადმინისტრაციის წარმომადგენლები სოციალური მუშაობის პროგრამებს უნივერსიტეტისთვის პრიორიტეტულ მიმართულებებად მოიაზრებენ და აცნობიერებენ დარგის მნიშვნელობას, რაც უზრუნველყოფს პროგრამის მხარდაჭერას უნივერსიტეტის მხრიდან. პროგრამის ფაქტობრივი მდგომარეობა ცხადჰყოფს, რომ ის ფინანსურად მიღწევადი და მდგრადია. სოციალური მუშაობის სამაგისტრო პროგრამის პერსონალი აქტიურად მონაწილეობს სხვადასხვა საგრანტო კონკურსებში. მისი ერთ-ერთი პრიორიტეტია დაფინანსების დამატებითი წყაროების მოძიება, გრანტების ან სხვა დაფინანსებული პროექტების სახით. საგრანტო დაფინანსება ასევე სტუდენტთა და პროგრამის პერსონალის შრომითი ანაზღაურების და წახალისების დამატებით წყაროს წარმოადგენს. საჭიროების შემთხვევაში პროგრამა მხარდაჭერილია ფაკულტეტის და უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან, რაც დადებითად აისახება პროგრამის ფინანსურ მდგრადობაზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; • ინტერვიუს შედეგები ფაკულტეტის/უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან; • ფაკულტეტის ბიუჯეტი; • უნივერსიტეტის ბიუჯეტი; .
რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა √ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თსუ-ში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობა რეგულირდება სამსახურის დებულებით. სამსახური შედგება ორი განყოფილებისაგან - ინსტიტუციური განვითარებისა და ავტორიზაციის განყოფილება; აკრედიტაციის, კვლევებისა და შეფასების განყოფილება. თანდართული დოკუმენტაციის შესწავლის, ასევე აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, გამოიკვეთა, რომ უსდ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური გეგმავს და ახორციელებს პროგრამის ხარისხის მუდმივ შეფასებას. სამსახური ასევე უზრუნველყოფს აკადემიური და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის პერიოდულ მონიტორინგს და მიღებული უკუკავშირის

შედეგად - პროგრამის განვითარებისთვის რეკომენდაციების შემუშავებას. „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“ განსაზღვრულია: „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე” ციკლის - ე.წ. “PDCA” პრინციპის შესაბამისად.
საგანმანათლებლო პროგრამის შიდა შეფასების პროცესში მონაწილეობენ პროგრამის კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები, სტუდენტები, აკადემიური და მოწვეული პერსონალი. პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალი მჭიდროდ თანამშრომლობს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების მეთოდების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში, მუშაობის შედეგად მიღებული მტკიცებულებები გამოიყენება პროგრამის ხარისხის შეფასების შედეგების გასაუმჯობესებლად. პროგრამის ხარისხის განვითარებისათვის ეტაპობრივად ასევე ტარდება აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეხვედრები გამოცდილების ურთიერთგაზიარებისა და დისკუსიის წარმართვის მიზნებისათვის. უსდ უზრუნველყოფს პროგრამის შეფასების პროცესის ინდივიდუალიზებას, რაც გულისხმობს პროგრამისა და მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისად დადგენილ კრიტერიუმებისა და შეფასების მეთოდების გამოყენებას პროგრამის შეფასების პროცესში. პროგრამა შეფასებულ იქნა შემდეგი ინდიკატორების გამოყენებით: სტუდენტთა რაოდენობა, საჭიროებები და პროგრესია, დასაქმების მაჩვენებელი, კურსდამთავრებულთა მაჩვენებლები, განმახორციელებელი პერსონალი, რაოდენობა, დაინტერესებულ პირთა გამოკითხვის შედეგების ანალიზი.
უსდ-ს დანერგილი აქვს საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდაჭერის კომიტეტის ფუნქციონირების პრაქტიკა. საგანმანათლებლო პროგრამის კომიტეტის საქმიანობა გულისხმობს ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობას საგანმანათლებლო საქმიანობის განვითარების პროცესში. კომიტეტში, აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის გარდა, მონაწილეობს ადმინისტრაციული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები და სხვა დაინტერესებული პირები საჭიროების შემთხვევაში. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მუშაობს კომიტეტისა და თვითშეფასების ჯგუფის მუშაობის შედეგად გამოვლენილ გასაუმჯობესებელ მხარეებზე და ახდენს რეკომენდაციებისა და ცვლილებების ასახვას პროგრამის შემუშავებისა და განვითარების პროცესში. გარდა ამისა, ასევე აქტიური პრაქტიკაა შდა მონიტორინგის პროცესი, რომელიც სააკრედიტაციო ვიზიტის იმიტაციაა და ხორციელდება კოლეგიალური შეფასების პრინციპებზე დაყრდნობითა და მომიჯნავე სპეციალობების სტუდენტთა ჩართულობით. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე გამოვლინდა, რომ სოციალური მუშაობის პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდაჭერის კომიტეტის ეფექტურმა ფუნქციონირებამ და დაინტერესებულ მხარეთა მაღალმა ჩართულობამ დადებითი გავლენა იქონია პროგრამის განვითარებისა და სააკრედიტააციოდ მომზადების პროცესში, რაც ნამდვილად მისასალმებელი პრაქტიკაა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პერსონალის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ დადგენილება;
- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურა;
- სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების წესი;
- საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების ფორმა და ინდიკატორები;

- სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგები;
- განხორციელებული ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდაჭერის კომიტეტის ეფექტური ფუნქციონირება და შიდა ექსპერტიზა დაინტერესებულ მხარეთა მაღალი ჩართულობით.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უსდ ხარისხის გარე შეფასებისათვის იყენებს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკრედიტაციისა და ავტორიზაციის პროცესს და გარე ექსპერტის შეფასებას და აქტიურად თანამშრომლობს უცხოეთისა და საქართველოს სხვა უნივერსიტეტებთან. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელებული გარე ხარისხის შეფასების მექანიზმების გამოყენებით მიღებული შედეგები აისახება საგანმანათლებლო პროგრამის შემდგომი განვითარების პროცესში. სოციალური მუშაობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას 2021 წელს გავლილი აქვს „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის მიზნით ექსპერტთა შეფასების პროცესი. ექსპერტთა ჯგუფისა და აკრედიტაციის საბჭოს წევრთა მიგნებებისა და რეკომენდაციების ასახვა განხორციელდა პროგრამის რეაკრედიტაციისათვის მზადების პროცესში.

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუების შედეგად, დადგინდა რომ პროგრამა გარე კოლეგიალური შეფასების ფარგლებში გაზიარებულ იქნა უცხოელ პარტნიორებთან. მათ შორის, ლუბლიანას უნივერსიტეტისა და ფინეთის უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან. წარმოდგენილი მხარდაჭერის წერილების შესაბამისად, აღინიშნა კურიკულუმის მრავალფეროვნება და კურსდამთავრებულთა დასაქმების პერსპექტივები, ორმხრივი თანამშრომლობის შედეგები და შემდგომი შესაძლებლობები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო საგანამანათლებლო პროგრამა;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულება;
- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურა;
- საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების ფორმა და ინდიკატორები;
- საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება და შედარება - სოციალური მუშაობის სამაგისტრო პროგრამა;
- მხარდაჭერის წერილები;
- 2021 წელს განხორციელებული გარე შეფასების შედეგები;
- განხორციელებული ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებისათვის, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს შესაბამის მონიტორინგსა და პერიოდულ შეფასებას. შეფასების და გაუმჯობესების მექანიზმების ხელშეწყობის მიზნით, რეგულარულად ტარდება გამოკითხვები აკადემიურ, სამეცნიერო, მოწვეულ, ადმინისტრაციულ, დამხმარე პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან. შესაბამისი მონაცემების გაანალიზების შესაბამისად, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახდენს საჭიროებების იდენტიფიცირებას და პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების შედეგები გამოიყენება დამატებითი საჭიროებების განსაზღვრისას. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შეფასების შედეგებსა და რეკომენდაციებს რეგულარულად აცნობს დაინტერესებულ მხარეებს.

ვიზიტის განხორციელებისას ჩატარებულმა ინტერვიუებმა ცხადყო, რომ გამოკითხვის შედეგების გათვალისწინება ასევე ხდება პროგრამის კურიკულუმის განვითარების ყველა შესაბამის სამუშაო ეტაპზე, რაც დასტურდება აკადემიური და მოწვეული პერსონალის, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების კვლევისა და სფეროს წარმომადგენლებთან ჩატარებული გამოკითხვის შედეგებით, რომელიც მიუთითებს, რომ მონაცემების ანალიზის საფუძველზე მუდმივად ხორციელდება პროგრამების გაუმჯობესება, რათა უკეთ მოხდეს შრომის ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილება.

უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ დანერგილია პროგრამების კოლეგიალური განმავითარებელი შეფასების მექანიზმი, რომლის ფარგლებში პერიოდულ მონიტორინგს ექვემდებარება პროგრამები, რომლებიც აკრედიტაციის ვადის ფარგლებში რეგულარულად განიცდიან ცვლილებებს და ის პროგრამები, რომლებიც ყველაზე ნაკლებად განიცდიან ცვლილებებს. აღნიშნული სააკრედიტაციო პროცესის სიმულაციური ფორმატი ხელს უწყობს პროგრამების შეფასებას, ასევე, დაინტერესებულ და ჩართულ მხარეთა მიერ პროგრამების განვითარების შესაძლებლობების იდენტიფიცირებას.

უსდ-ში არსებული პრაქტიკის შესაბამისად, პერიოდულად ხორციელდება საგანმანთლებლო პროგრამების დადარება ანალოგიურ პროგრამებთან, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარების და თანამედროვე სტანდარტებთან და მოთხოვნების შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. სამიზნე უნივერსიტეტები შერჩეულია დარგობრივი სტანდარტების გათვალისწინებით წარმატების მაჩვენებლების შესაბამისად. აღსანიშნავია, რომ პროგრამა დადარებულ იქნას ილიას უნივერსიტეტისა და ლუბლიანის უნივერსიტეტის შესაბამის პროგრამებთან, შესწავლილი პროგრამების გამოცდილების გაზიარების შედეგად, გამოიკვეთა პროგრამის მნიშვნელობა, სტრუქტურის მსგავსება, კვალიფიციური კურსდამთავრებულებისათვის საჭირო პრაქტიკულ უნარებზე აქცენტი და სხვა გარკვეული უპირატესობები.

აღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად და შესაბამისად სრულად აკმაყოფილებს მოთხოვნილ სტანდარტებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულება;
- სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

პერსონალის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ დადგენილება; o საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურა; o სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების წესი; o საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების ფორმა და ინდიკატორები; o სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგები; o პროგრამის გარე შეფასება და მხარდაჭერის წერილები; o ანალოგი პროგრამების შესწავლის ანალიზი; o განხორციელებული ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა √ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური: სოციალური მუშაობა, მაგისტრატურა

დასკვნის პროექტის გვერდების რაოდენობა: 43

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	X			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის
შორენა სამაგლიშვილი, ხელმოწერა

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა

სახელი, გვარი, ხელმოწერა
ინგა საითაძე

Anga Saitadze

სახელი, გვარი, ხელმოწერა

დარეჯან დვალიშვილი
სახელი, გვარი, ხელმოწერა

თამთა ცხოვრებაძე
სახელი, გვარი, ხელმოწერა

ელენე გავაშელაშვილი
სახელი, გვარი, ხელმოწერა



სახელი, გვარი, ხელმოწერა

ჯოვანა აბლოთია